



შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

*დამტკიცებულია რექტორის 2016 წლის 16 აპრილის
ბრძანება N 36*

კარიერის ცენტრის დებულება

მუხლი 1. კარიერის ცენტრი

1. კარიერის ცენტრი (ტექსტში შემდგომ - ცენტრი) არის შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (ტექსტში შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) დამხმარე სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებაში უნივერსიტეტის სტუდენტების და კურსდამთავრებულების ინტეგრირების ხელშეწყობას.

2. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 2. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრი შედგება ცენტრის ხელმძღვანელისა და მოსამსახურეებისაგან.

2. ცენტრის საქმიანობას წარმართავს ცენტრის ხელმძღვანელი, რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ დებულებით. ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის დავალებით, ცენტრის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს ერთ-ერთი მოსამსახურე.

3. ცენტრის მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლების წესები განისაზღვრება ამ დებულებით და საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 3. ცენტრის ფუნქციები და ამოცანები

1. ცენტრი დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) საზოგადოებაში უნივერსიტეტის სტუდენტების და კურსდამთავრებულების ინტეგრირების ხელშეწყობას;

ბ) სტუდენტების მაქსიმალური დასაქმების გზებისა და საშუალებების გამოძებნას;

გ) სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სამუშაოს მოძიების სტრატეგიის შემუშავებას;

დ) სტუდენტებისათვის დახმარების აღმოჩენას და ხელისშეწყობას სამსახურის მოძიებისა და მუშაობის დაწყებაში;

ე) სხვა, უმუშევრობის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას, გაანალიზებას და რეკომენდაციების შემუშავებას;

ვ) მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ცენტრის სხვა ფუნქციების განხორციელებას.

2. თავისი ამოცანების გადაწყვეტის მიზნით ცენტრი:

ა) ახდენს უნივერსიტეტის დასაქმების მსურველი სტუდენტების და კურსდამთავრებულების რეგისტრაციას და მიაწვდის მათ ინფორმაციას სხვადასხვა ბიზნესის, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ;

ბ) დასაქმების მსურველ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს უწევს ინდივიდუალურ კონსულტაციებს და აძლევს შესაბამის რჩევა-დარიგებებს შერჩეული ვაკანსიების სპეციფიკების გათვალისწინებით.

გ) ამყარებს ურთიერთობებს დასაქმების ცენტრთან და უზრუნველყოფს მათ სტუდენტების შესახებ შესაბამისი ინფორმაციით;

დ) მოიძიებს და ამყარებს კავშირებს სახელმწიფო და არასამთავრობო დაწესებულებებთან, მსხვილ კომპანიებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ და მათ მიერ გამოცხადებულ ვაკანსიათა შესაბამისად უზრუნველყოფს რეკომენდაციებით და ინფორმაციებით მათთვის შესაფერისი სტუდენტების და კურსდამთავრებულების შესახებ მონაცემებით;

ე) შეიმუშავებს სპეციალური დასაქმების პროგრამებს, მოიძიებს გზებსა და საშუალებებს სტუდენტების სტაჟირებასა და შესაძლო დასაქმებასთან დაკავშირებით;

ვ) გასცემს რეკომენდაციებს დასაქმების მსურველ სტუდენტებზე მათი მონაცემების შესაბამისად;

ზ) ანხორციელებს უნივერსიტეტის სტუდენტების დასაქმებასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციებს

მუხლი 4. ცენტრის მართვა

1. ცენტრს წარმართავს ხელმძღვანელი.

2. ცენტრის ხელმძღვანელი:

ა) წარმართავს ცენტრის საქმიანობას და პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) ანაწილებს ფუნქციებს ცენტრის მოსამსახურეთა შორის;

გ) სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს წინადადებებს ცენტრის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით; მოსამსახურეთა წახალისების და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, მოსამსახურეთა შვებულებების გამოყენების, მოსამსახურეთა სამსახურებრივი მივლინებების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების შესახებ;

დ) განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს;

ე) სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს ცენტრის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

ვ) სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს ცენტრის მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ;

ზ) ანგარიშვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

3. ცენტრის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

4. ცენტრის ხელმძღვანელის არყოფნისა ან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს გადაწყვეტილებით მის მოვალეობას ასრულებს ცენტრის ერთ-ერთი მოსამსახურე.

მუხლი 5. ცენტრის პერსონალი

1. ცენტრის პერსონალი შედგება მოხელეებისაგან, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის საშტატო ნუსხით.

2. ცენტრის მოსამსახურეებს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი.

3. ცენტრის მოსამსახურეები:

ა) ცენტრის ხელმძღვანელს წარუდგენენ თავიანთ საქმიანობის შესახებ ანგარიშს;

ბ) საკუთარი მოვალეობების შესრულებისას ხელს აწერენ მომზადებულ დოკუმენტაციას, იძლევიან სათანადო დასკვნებს, შეისწავლიან და წარმოადგენენ წინადადებებს, პროექტებს და სხვა შესაბამის დოკუმენტაციას მათზე დაკისრებული მოვალეობებისა და ცალკეული დავალებების ფარგლებში.

გ) ასრულებენ ამ დებულებით, შინაგანაწესით, სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოების და ცენტრის ხელმძღვანელის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ მოვალეობებსა და ცალკეულ დავალებებს.

მუხლი 6. ცენტრის ქონება, ფინანსები და საქმიანობის კონტროლი

1. ცენტრის მთელი ქონება წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებას.

2. სამსახურისათვის გადაცემული ქონების საკითხები რეგულირდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. ცენტრის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი.